

შპს „ასა მოტორსი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ასა მოტორსი“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 28 იანვარს (რეგისტრაციის ნომერი: B21032508; გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 412743731). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის გამზ. # 9ბ; ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი, ორახელაშვილის ქ. #16ა.

დამფუძნებელი: გივი ციბაძე (პირადი ნომერი: 60001041869) – 50% -ის მფლობელი

დამფუძნებელი: გიორგი ასათიანი (პირადი ნომერი: 49001000542) – 50% -ის მფლობელი

შპს „ასამოტორსი“-ს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს:

- ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- სპეც. ტექნიკის გაქირავება/იჯარა; ტექნიკით მომსახურება;

საანგარიშო პერიოდი არის პერიოდი, რომელიც დაიწყო 2024 წლის 1 იანვარს და დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

შპს „ასამოტორსი“-ს ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს



და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარებში.

ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ შპს „ასა მოტორსი“ უწყვეტად განაგრძობს თავის საქმიანობას მომავალში.

საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია ისეთ სამეურნეო პროცესებს, რომლების საჭიროებს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები

- აქტივების და ვალდებულებების აღირცხვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი - ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი წარმოშობისას/მოხდენისას (და არა ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ვმილების ან გადახდისას) და აღიარდება იმ პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი
- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე
- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით; ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი დარიცხვის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება კომპანიის



მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებით შემოსავლის მიღებას. კომპანია ცვეთის დარიცხვას ახდენს კალენდარული წლის ბოლოს

- აქტივების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს
- ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი/ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები, ან სხვა ხარჯები
- ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები, რომლების მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, გაწვევითანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი
- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საანგარიშო პერიოდში ძირითადი საშუალებების გადაფასებას ადგილი არ ქონია



- შეძენილი სასაქონლო მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით
- თანამშრომელთა ხელფასები და სხვა ანაზღაურება მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, საშვებულებო ანაზღაურებას და დახმარებას დროებითი შრომის უუნარობის გამო
- კომპანიის კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებებს, რომლებიც როგორც წესი იფარება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში
- კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის. მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს, რომლებსაც დაემატება კომპანიის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების ნაწილი, რაც რჩება კომპანიას დამფუძნებლებისათვის დივიდენდების გადახდის შემდეგ
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად და საბანკო ნაშთებს
- კომპანიის მიერ გადახდების დარიცხვისას და გადახდისას, გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიც

შპს „ასამოტორსი“-ს დირექტორი

/გ. ციბაძე/



ASAMOTORS

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57866	79568	77532
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	66978	183868	369710
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	30000	0	14479
მარაგები	35770	63955	35505
სხვა	35770	63955	35505
სხვა მოკლევადიანი აქტივები	26605	33858	4800
სხვა არამატერიალური აქტივები	863	1188	1512
ძირითადი საშუალებები	1655228	2059450	2134868
სხვა გრძელვადიანი აქტივები	944784	944947	942417
სულ აქტივები	2818094	3366834	3580823

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	189186	82841	93331
საგადასახადო ვალდებულებები	46449	52	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	74395	493002	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1294746	1736468	1846766
სხვა ვალდებულებები	57524	37716	16654
სულ ვალდებულებები	1662300	2350079	1956751

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1167066	1167066	1167066
--	---------	---------	---------



გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-11272	-150311	457006
სულ საკუთარი კაპიტალი	1155794	1016755	1624072
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2818094	3366834	3580823
სულ მოკლევადიანი აქტივები	217219	361249	502026
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	367556	613611	109987

შპს „ასამოტორსი“-ს დირექტორი



ბ. ციბაძე

ASAMOTORS

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2933809	2449736
საქონლის გაყიდვიდან	112404	35322
მომსახურების გაწევიდან	2801913	2414414
სხვა	19492	0
გაყიდვების თვითღირებულება	-679528	-277627
საერთო მოგება	2254281	2172109
დასაქმებულთა ანაზღაურება	-532036	-588704
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-271555	-289749
საპროცენტო ხარჯი	-231471	-233041
იჯარის ხარჯი	-600	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-948320	-1606968
სულ საოპერაციო ხარჯები	-1983982	-2718462
საოპერაციო მოგება	270299	-546353
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-2295	-3784
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-128965	-36999
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	139039	-587136
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	139039	-587136
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	139039	-587136
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1016755	1624072
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-20181
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1155794	1016755

შპს „ასამოტორსი“-ს დირექტორი

გ. ციბაძე



ASAMOTORS

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	2684
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-21702	-648
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-21702	2036
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	79568	77532
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	57866	79568

შპს „ასამოტორსი“-ს დირექტორი



გ. ციბაძე

ASAMOTORS